# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

N 07/03/07 2012 წლის 7 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „კოლხა 2012"-ისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირის N27-ში მდებარე 435 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.15.011.016) და 150 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.10.15.011.014) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 161 400 (ას სამოცდაერთი ათას ოთხასი) ლარად საკუთრებაში გადაეცეს შპს „კოლხა 2012"-ს.

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ ქონებაზე შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მიღება, ხოლო მშენებლობის ნებართვის

1041-101
09 03 ... 2
24

მიღებიდან 1 წლის ვადაში ე.წ. PUB-ის მშენებლობა და ექსპლუატაციაში შეყვანა, სადაც განთავსებული იქნება საბილიარდო და ლუდის ბარი;

გ) ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების მიზნით არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ევროს ინვესტიციის განხორციელება;

დ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობის შესრულების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენა, რომლის ვადაც საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ ორი თვით.

3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ამ განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მიხეილ სააკაშვილი